| პასუხი გარემოს ეროვნული სააგენტოს კომენტარებსა და მოსაზრებებზე | |
|---|---|
| **სააგენტოს კომენტარი/შენიშვნა** | **პასუხი** |
| „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 27-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სგშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს მის მომზადებაში (შედგენაში) მონაწილე პირის (პირების) მიერ. სგშ-ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ნუსხის სახით, სადაც არ არის მოცემული ჰიდროლოგიური და გეოლოგიური ნაწილების შემსრულებლების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი სპეციალისტების ხელმოწერების მითითებით. | გეოლოგიური ნაწილის ცალკე ანგარიშია დანართი გეგმარებითი ერთეულის გეოლოგიური ანგარიში ავტორი ემზარ მეგრელიშვილი იხ. დანართი გეოლოგიური ანგარიში |
| სგშ-ის ანგარიშში მოცემულია მხოლოდ სხვა სტრატეგიული დოკუმენტების ჩამონათვალი და არ არის განხილული კავშირი ამ სტრატეგიულ დოკუმენტებთან. ამასთან, ეს ჩამონათვალი არასრულია. მაგალითად, არ არის ნახსენები: საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა 2022-2026 წწ., საქართველოს 2021-2027 წწ. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია; საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი; საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა და ა.შ. საჭიროა, სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და განხილული იყოს ინფორმაცია სხვა სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირის შესახებ. ასევე, საჭიროა, წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. | იხ. ღონისძიებათა ცხრილი 37.2. გავლენა არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე პუნქტი 2 |
| სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ცხრილებში მოცემულია ინფორმაცია კურორტი გომისმთისა და გომისმთის სუბალპური ეკოსისტემის შესახებ. გაცნობებთ, რომ „დაბა<br><br>გომისმთის განაშენიანების გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ 2022 წლის 26 იანვარს გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-42 ბრძანება. თუმცა, სგშ-ის ანგარიშში არ არის განხილული ინფორმაცია აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის შესახებ. | გათვალისწინებულია ამოღებულია ტექსტი |
| | |

| | |
|---|---|
| ● საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცნობით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს (ბათუმი) №7 სასაზღვრო სექტორის (ხიხაძირი) დასაცავ მონაკვეთზე, სასაზღვრო ზონის ფარგლებში, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულია ორი სათხილამურო ტრასის მოწყობა, რომელთაგან ერთის საბოლოო წერტილი დაშორებულია სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან დაახლოებით 1250 მეტრით, ხოლო მეორეს საბოლოო წერტილი სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან დაახლოებით - 2200 მეტრით. ორივე სათხილამურო ტრასის საწყისი წერტილები მდებარეობს კურორტ ბეშუმში და სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან დაშორებულია დაახლოებით 4200 მეტრით. გეგმით წარმოდგენილი სათხილამურო ტრასების მოწყობის შემთხვევაში, გაიზრდება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ტურისტული ნაკადები, რაც თავისთავად გაზრდის სახელმწიფო საზღვრის დარღვევის რისკებს, მათ შორის უნებლიედ. აღნიშნული მიმართულებით, სახელმწიფო საზღვრის ეფექტურად გაკონტროლებისათვის, საქართველოს სასაზღვრო პოლიციას მიზანშეწონილად მიაჩნია, კონცეფციის ფარგლებში გათვალისწინებული იყოს სასაზღვრო პოსტისა და სათვალთვალო კოშკურის მოწყობა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ მოთხოვნილი პროექტის მიხედვით, პირადი შემადგენლობის როტაციისა და სურსათით უზრუნველყოფის მიზნით თოვლმავლების შეძენა, ასევე სათვალთვალო კოშკურის პროჟექტორითა და მძლავრი სათვალთვალო კამერით აღჭურვა. | გათვალისწინებულია დამატებულია ღონისძიებათა გეგმაში საფრთხეები ქმედება 8 |
| სტრატეგიულ დოკუმენტში მოცემულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრებაში არსებული საკადასტრო ერთეულები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვრის ხაზს და არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, გათვალისწინებულია თუ არა მოცემული საკადასტრო ერთეულების ფარგლებში რაიმე სახის აქტივობები. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ცნობით, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულების ფარგლებში სამშენებლო და სხვა სახის აქტივობები არ უნდა განხორციელდეს სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან 1000 მეტრ მანძილზე ახლოს. გაცნობებთ, რომ საჭიროა სტრატეგიული დოკუმენტსა და სგშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იყოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია. | გათვალისწინებულია დამატებულია ღონისძიებათა გეგმაში საფრთხეები ქმედება 8 |
| სგშ-ის ანგარიშში ზემოქმედებების შეფასების ნაწილში არ არის მოცემული გეოლოგიურ გარემოსა და გეოდინამიკურ პროცესებზე ზემოქმედების შეფასება სტრატეგიული დოკუმენტის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. საჭიროა, სგშ-ის ანგარიშში აისახოს აღნიშნული საკითხი და შეფასებული იყოს შესაბამისი რისკები. | გათვალისწინებულია დამატებულია იხ. " გეოლოგიური რისკები" |

| | |
|---|---|
| სგშ-ის ანგარიშის ქვეთავი - „სეისმურობის“ თანახმად, მოცემული უნდა იყოს საქართველოს სეისმური საშიშროების რუკა, თუმცა რუკა დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის. | გათვალისწინებულია  იხ. რუკა 18 საქართველოს სეისმური საშიშროების რუკა |
| სგშ-ის ანგარიშში ასევე არ არის მოცემული გეოლოგიური რუკები, რაც საჭიროებს გათვალისწინებას. ამასთან, საჭიროა, გენ-გეგმის გეოლოგიური ანგარიშის დანართში მოცემული ძველი გეოლოგიური რუკის გაციფრულება, შესაბამისი პირობითი ნიშნებით. | გათვალისწინებულია   იხ. "გეოლოგიური რისკები' და გეოლოგიის ნაგარიში, რუკებთან ერთად და მათი shp ფაილები |
| სგშ-ის ანგარიშის 107-ე გვერდზე მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: -„როგორც ვხედავთ საპროექტო არეალს სასმელი წყალი სხვადასხვა ადგილიდან მიეწოდება, რაც ერთგვარ სასმელი წყლის სარეზერვო მარაგს წარმოადგენს ბუნებრივი კატასტროფის<br>დროს რომელიმეს დაზიანების შემთხვევაში.“ საჭიროა, დაზუსტდეს რა ტიპის/სახის ბუნებრივი კატასტროფაზეა საუბარი. საფრთხის გააქტიურების რისკის არსებობის შემთხვევაში, საჭიროა ამ რისკის შეფასება. | გათვალისწინებულია  იხ. IV წყალშემკრები აუზი ბოლო აბზაცი<br>განხილულია  იხ. " გეოლოგიური რისკები" ასევე მითითებულია ღონისძიებათა გეგმაში  ბუნებრივი საფრთხეებში მოცემულია ამ კვლევების ჩატარების აუცილებლობის შესახებ |
| წარმოდგენილ სგშ-ის ანგარიშს არ ახლავს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკა. საჭიროა, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორია დაიყოს რისკის ზონებად და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი საფრთხეების ზონირების რუკა, სადაც დატანილი იქნება თითოეული პროცესი და მინიჭებული ექნება დაბალი, საშუალო ან მაღალი საფრთხის კატეგორია. თითოეულ უბანზე აუცილებელია მოხდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიების დაგეგმვა და ანალიზი, თუ შერჩეული საინჟინრო გადაწყვეტა საკმარისი იქნება საფრთხის კატეგორიის შესაცვლელად (მაგალითად, ტერიტორია მაღალი საფრთხის კატეგორიიდან შემცირდეს საშუალო საფრთხის კატეგორიად). | განხილულია  იხ. "გეოლოგიური რისკებ"ი ასევე მითითებულია ღონისძიებათა გეგმაში  „ბუნებრივი საფრთხეებში“ მოცემულია ამ კვლევების ჩატარების აუცილებლობის შესახებ |
| საინიციატივო ჯგუფი “გოდერძის მეგობრების“ წერილით წარმოდგენილი შენიშვნის მიხედვით, განაშენიანების დეტალური გეგმისა და სგშ-ის ანგარიშის წარმოდგენისას საჭიროა პერსპექტიული დაბა გოდერძის ფრაგმენტის არეალის ჩრდ. ნაწილის დეტალური გეოლოგიური კვლევა, რადგან უშუალოდ ფერდობზე აღინიშნება მცირე-ლოკალური ჩამოქცევები (მეწყრები) და აქტიური ეროზიული პროცესები. წერილის თანახმად, დოკუმენტის მიხედვით, ფერდობზე დაგეგმილია განაშენიანება, რაც ნიშნავს იმას, რომ მოხდება გრუნტის მასების ჩამოჭრა, გაიზრდება დატვირთვა და შესაძლოა მოხდეს ფერდობის დესტაბილიზაცია. წერილის თანახმად, ფერდობი | გათვალისწინებულია ღონისძიებათა გეგმაში იხ. "ბუნებრივი  საფრთხეები"  დამატებულია ქმედება კვლევა ჩრდილოეთ ფერდობის  სტაბილურობის შესახებ  პუნქტი 5 |

| | |
|---|---|
| მიდრეკილია მეწყრული პროცესების განვითარებისაკენ, საფრთხე მაღალია და ამიტომ აუცილებელია დოკუმენტში წარმოდგენილი იყოს კვლევა ფერდობის სტაბილურობის შესახებ. | |
| დოკუმენტაციის გეოლოგიურ ნაწილში ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განვითარების ეტაპების შესახებ, კერძოდ გასაყვანი გზების, კომუნიკაციების, სასმელი წყლის აუზების გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების კვლევაზე. სგშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს გეგმარებით არეალებზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის/განვითარების გეგმა. | გათვალსიწინებულია ჩამატებულია იხ. "ტრანსპორტის განვითარების გეგმა" |
| საჭიროა სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალში ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების კომპლექსურად გაანალიზება და სტიქიების მართვის გეგმების (რომელიც უნდა მოიცავდეს სტიქიის შემთხვევაში კურორტის ევაკუაციის გეგმას) მომზადება მუნიციპალიტეტის და სხვა შესაბამისი უწყებების ჩართულობით. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს ასახული ინფორმაცია აღნიშნული გეგმის შესახებ.<br><br>სგშ-ის ანგარიშში ასახული უნდა იყოს საკვლევ ტერიტორიაზე არსებული მდინარეებისა და ხევების მოკლე (ზოგადი) ჰიდროგრაფიული დახასიათება, ჰიდროლოგიური მახასიათებლები და ა.შ. სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი ძირითადი მდინარეებისა და მათი შენაკადების ჰიდროლოგია. სგშ-ის ანგარიშში კლიმატის ცვლილების თანამედროვე ტენდენციების ფონზე უნდა მოხდეს მდინარეებთან დაკავშირებული ჰიდროსტიქიური პროცესების ზოგადი შეფასება. | გათვალისწინებულიადამატებულია ღონისძიებათა გეგმაში ბუნებრივი საფრთხეები პუნქტი 4<br><br>გათვალისწინებულია იხ. "ზედაპირული წყლები"  და ასევე ღონისძიებათა გეგმაში " საფრთხეები" იხ. ზედაპირული წყლები და ჰიდროლოგია |
| სგშ-ის ანგარიშში, საჭიროა ჰიდროგეოლოგია (მიწისქვეშა წყლების) და ჰიდროლოგია (ზედაპირული წყლების) ცალ-ცალკე ქვეთავებად იყოს განხილული. ჰიდროგეოლოგიური პირობების აღწერა უნდა მოიცავდეს მიწისქვეშა წყლის მტკნარი და მინერალური წყლების რესურსების აღწერას, რაც დაფუძნებული უნდა იყოს შესაბამის კვლევებზე, ხოლო ჰიდროლოგიურ აღწერაში საჭიროა მოცემული იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდინარეების შესახებ ინფორმაცია და აუზების კომპლექსური ანალიზი. ამასთან, ჰიდროგეოლოგიის ზოგადი აღწერისას გამოყენებულია ,,საქართველოს ჰიდროგეოლოგიური დარაიონების რუკა“ (სგშ, გვ-38), | გათვალისწინებულია იხ. "ზედაპირული წყლები"  ზეოქმედებები გათვალისწინებულია ზემოქმედება წყლის რესურსებზე. მიწისქვეშა წყლები ; „გოდერძის წყების“ წყალშემცველი კომპლექსი<br>მეოთხეული ასაკის (aQIV) ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი; იხ რუკა საქართველოს ჰიდროლოგიურ დარაიონების რუკა 19 |
| ● სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ხულოს „ბიომრავალფეროვნების | |

| | |
|---|---|
| მართვის გეგმის“ დოკუმენტის შესახებ საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მომზადებაზე, განხილვაზე, დამტკიცებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობის თაობაზე. | ღონისძიებათა გეგმაში ასახულია ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის შესახებ პუნქტი 1 |
| სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, ჩამონადენის საკონტროლო ღონისძიებები უნდა გატარდეს გზის/ავტომაგისტრალის და ხიდის მშენებლობის დროს ჩამონადენით დაბინძურების შემცირების მიზნით. საჭიროა, სგშ-ის ანგარიშში დაზუსტდეს იგეგმება თუ არა ხიდის მშენებლობა და იდენტიფიცირებული იყოს მდინარე. ამასთან, საჭიროა, დოკუმენტში აისახოს ხიდის/ხიდების მშენებლობისას წყლის ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი. საჭიროა, აღნიშნული საკითხი ასევე აისახოს ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში. | |
| სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილია მწვანე ნარგავების მოვლა/გაშენება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული სახეობის მცენარეების გადარგვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, სგშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული იყოს შემდეგი: სამუშაოების დაგეგმვისას, პროექტის განმახორციელებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სახეობების გადარგვა განხორციელდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექსპერტის ჩართულობით, ხოლო წითელი ნუსხის სახეობების ჭრის შემთხვევაში, ქმედებები განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. | გათვალისწინებულია  ჩამატებულია იხ. თავი ლანდშაფტის დაცვის გეგმა გამწვანების რეგლამენტი |
| სგშ-ის ანგარიშში ხელფრთიანებისთვის დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით დამატებით, ასახული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: ღამურებისთვის დაგეგმილი ხელოვნური თავშესაფრების რაოდენობის, მათი საკმარისობის, არსებული სამყოფელის, შემარბილებელი ღონისძიებების სახეების უპირატესობების/ნაკლოვანების და მისი დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების შესახებ. საჭიროა, აღნიშნული საკითხი ასევე აისახოს ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში. | იხ. ღონისძიებათა ცხრილი 37.2. გავლენა არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე პუნქტი 2 |
| სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში საჭიროა გათვალისწინებული და დაზუსტებული იყოს შემდეგი საკითხი: ვერტოდრომიდან (ასევე სათადარიგო, ეპიზოდური გამოყენების ვერტოდრომიდან) ვერტმფრენების მარშრუტების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ფრინველთათვის მნიშვნელოვანი საბუდარი, სამიგრაციო ადგილები.<br><br>სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ბიომრავალფეროვნებაზე | ასახულია ღონისძიებათა გეგმაში იხ. გავლენა არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე პუნქტი 3<br><br>ასახულია ღონისძიებათა გეგმაში. ეს სამუშაოები აუცილებელია ჩატრდეს უშუალოდ |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ, კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ (იშვიათი/საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გავრცელების არეალი, ბუდობის, მიგრირების ადგილები, სხვა) ახალი დასახლებების, ვერტოდრომის (ასევე სათადარიგო ვერტოდრომის) სამთო–სათხილამურო ტრასების და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარების ადგილებისათვის, რომლებზეც აქამდე არ იყო რაიმე სახის ინფრასტრუქტურა. შეფასებული უნდა იყოს კონკრეტული საქმიანობის (ახალი დასახლებების, ვერტოდრომის (ასევე სათადარიგო ვერტოდომის), სამთო–სათხილამურო ტრასების, სხვა) აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების საკითხი. | ინფრასტრუქტურული პროექტის მომზადებისას. |
| სგშ-ის ანგარიშში შეფასებული და გაანალიზებული უნდა იყოს ბუნებრივ ლანდშაფტზე ზემოქმედების საკითხი.<br><br>სგშ-ის ანგარიშში, 48-ე გვერდზე, „ეკოსისტემური სერვისების“ ქვეთავში აღწერილია სამიზნე არეალის ეკოსისტემური სერვისები. ასევე, მოცემულია თითოეული სერვისის მოკლე მიმოხილვა. თუმცა, ჰაბიტატის (დამხმარე სერვისების) შემთხვევაში, მხოლოდ ამ ტიპის სერვისების განმარტება და ერთი მაგალითია წარმოდგენილი. აღნიშნული საკითხი სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი ანგარიშში, რადგან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კონტექსტში შესაძლებელია დამხმარე სერვისებზე ზემოქმედება იყოს მნიშვნელოვანი. ამასთან, მომდევნო თავებში, ზემოქმედების ნაწილში პრაქტიკულად არ არის განხილული შესაძლო ზემოქმედებები ეკოსისტემურ სერვისებზე. | ასახულია იხ. ზემოქმედება ჰაბიტატებზე და ეკოსისტემურ სერვისებზე<br><br>გათვალსიწინებულია იხ. ზემოქმედება ეკოსისტემურ სერვისებზე |
| სგშ-ის ანგარიშში განხილული არ არის - ფრინველებისა და ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორია (IBA _ Important Bird Area), რომელიც კვეთს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალს და სპეციალური დაცული ტერიტორიები (SPA _ Special Protection Area), რომელიც ახლოს მდებარეობს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალთან. | ტერიტორია არ წარმოადგენს ფრინველებისა და ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიას (IBA _ Important Bird Area) |
| საჭიროა, სგშ-ის ანგარიშში, გეგმარებითი ალტერნატივების შედარებისას, ბიომრავალფეროვნების ნაწილს დაემატოს წყლისა და წყალზე დამოკიდებულ | ასახულია ღონისძიებათა გეგმაში იხ. ცხრილი 37.2. გავლენა არსებულ ბიომრავალფეროვნებზაზე პუნქტი 1 |

| | |
|---|---|
| სახეობებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი. | |
| გშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს შესაძლო ზემოქმედება ზურმუხტის ქსელის<br>„გოდერძი“ - GE0000026” საიტზე. სგშ-ის ანგარიშში ზურმუხტის ქსელთან დაკავშირებულ ინფორმაციაში უნდა აისახოს, რომ საჭიროა, სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ყველა კონკრეტული ღონისძიების დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელმა ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში წარადგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. ამასთან, სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, ზურმუხტის ქსელის საიტი ნახსენებია როგორც შემოთავაზებული უბანი. გაცნობებთ, რომ აღნიშნული საიტი წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს. | გათვალსიწინებულია  იხ.  საერთაშორისო სტატუსის მქონე დაცული ტერიტორიები |
| ● არმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 29 მაისის N246/ს ბრძანებით გაცემული სკოპინგის დასკვნის „სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელი ინფორმაციის“ ნაწილით განსაზღვრული, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი სგშ-ის ანგარიშის დაცული ტერიტორიების თავში ჯერ განხილულია გეგმარებითი დაცული ტერიტორიები, ხოლო შემდგომ გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი ცალკე თავად არის გამოყოფილი, რაც გასამართია სტრუქტურულად. ტექსტიდან არ ირკვევა, რომ გოდერძის ნამარხი ტყე წარმოადგენს დაცულ ტერიტორიას. | გათვალსიწინებულია საერთაშორისო. რეგიონული და ლოკალური<br>იხ. კუმულაციურ ზემოქმედება და<br>დაცული ტერიტორიები |
| გშ-ის ანგარიშის „ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების“ ქვეთავში წარმოდგენილია ინფორმაცია სამიზნე არეალის ფარგლებში ძირითადი ანთროპოგენური ფაქტორების და საფრთხეების პროცენტული მაჩვენებლის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, ანთროპოგენური ფაქტორებიდან განსაკუთრებულ უარყოფით ზემოქმედებას ბიომრავალფეროვნებაზე ახდენს - საქონლის გადაჭარბებული ძოვება, თიბვა, დატკეპნა, ინფრასტრუქტურული პროექტები, რესურსების ჭარბი მოხმარება და დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება. ქვეთავში მოცემულია აღნიშნული ზემოქმედებების პროცენტული მაჩვენებელი. დოკუმენტში | გათვალისწინებულია იხ. თ ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორები  დიაგრამის ქვემოთ<br>შენიშვნა:<br>ეს თვალით მთლიანი ტერიტორიის აღწერით რომელიც განხორციელდა ადგილობრივ მეტყევესთან ერთად. მსგავსია მეთოდიკა  მცენარეულობის  აღწერის  relevee  მეთოდისა |

| | |
|---|---|
| არ არის წარმოდგენილი დეტალური მეთოდოლოგია, თუ როგორ მოხდა ანთროპოგენული ზემოქმედების შეფასება და შემდეგ მისი ზემოქმედების პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრა. გაურკვეველია, რას ნიშნავს აღნიშნული ზემოქმედების პროცენტული მაჩვენებელი. | |
| 1.ასევე, დასაზუსტებელია აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშების მნიშვნელობა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის მიზნებთან მიმართებაში. | ვთვლით, რომ მნიშვნელოვანია, ვინაიდან თვალნათლივ (რა თქნა უნდა დაახლობითია) ჩანს მთელს გეგმარებით ტერიტორიაზე ბუნებრივ და ანთროპოგენურ ფაქტორთა გადანაწილება და პროცენტული მაჩვენებელი და შესაბამისად მოსალოდნელი საფრთხეები. სწორედ აქედან გამომდინარე არის წარმოდგენილი ღონისძიებების ცხრილში განსახორციელებელი ქმედებების გატარების აუცილებლობა. |
| ამავე ქვეთავში ზოგადი სახით მოცემულია შემდეგი ინფორმაცია - „გოდერძის უღელტეხილის რელიეფწარმომქმნელი მორფოლოგიური პროცესებიდან თანამედროვე ეპოქაში შედარებით გავრცელებულია წყლისმიერი ეროზია, დენუდაციური ჩამონაშალები და მეწყერები. ხშირად ვხვდებით მიკრორელიეფის ელემენტებს, როგორიცაა ჩამორეცხილი კლდეები, ნაზვავები, ქვაყრილები, შევაკებული ან მცირე დაქანების ფერდობები და სხვა.“ დოკუმენტში არ არის მოცემული აღნიშნული პროცესების დეტალური შეფასება. არ არის მოცემული ინფორმაცია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებების შესახებ. მხოლოდ მოკლედ არის აღნიშნული, რომ პროცესი გამოიხატება ბოლო წლებში ხანგრძლივი წვიმიანი და გვალვიანი ზაფხულით. არ არის შეფასებული რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი პარამეტრები და არ არის მოცემული აღნიშნული ცვლილებების დეტალური ანალიზი. | გათვალსიწინებულია  დამატებულია იხ. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედებები, კლიმატის ცვლილების სცენარი და ადაპტაციის სტრატეგია |
| სგშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები (სტრატეგიული დოკუმენტის სკოპინგის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ სგშ-ის ანგარიშში ასევე უნდა აღწერილიყო კლიმატის ცვლილების ადაპტაციისაკენ მიმართული ღონისძიებების დეტალური გეგმა). გაცნობებთ, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების თანახმად, კლიმატის ცვლილება ძლიერ ზემოქმედებას მოახდენს ალპურ ეკოსისტემებზე, ტყეებსა და ჭარბტენიან ტერიტორიებზე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია. სგშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს კლიმატის ცვლილების გავლენა გეგმარებით | გათვალისწინებულია  იხ. კლიმატის ცვლილების სცენარი ,  ადაპტაციის     სტრატქგია, ღონისძიებათა გეგმა  კლიმატის ცვლილება სადაც ჩამოთვლილია მთელი რიგი განსახორციელებელი ღონისძიებებისა |

| | |
|---|---|
| არეალზე და გახსაკუთრებით კუროორტის გახვითარების პერსპექტივაზე (განსაკუთრებით ზამთრის კურორტის განვითარების პოტენციალზე), უნდა შეფასდეს სამომავლო საფრთხეები და რისკები, გაკეთდეს რეგიონული პროგნოზი და ანალიზი იმ შესაძლო ცვლილებებზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს კლიმატის ცვლილებამ. კლიმატის ცვლილებების აღწერისას გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები. | |
| სგშ-ის ანგარიშის ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის ქვეთავში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა გარემოს თითოეულ კომპონენტზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრა. ზემოქმედების შეფასების თითოეულ ქვეთავში მოცემულია მნიშვნელოვანი ზემოქმედებების განსაზღვრის მატრიცა და გარემოსდაცვითი რისკების განმსაზღვრელი მატრიცა. თუმცა, არ არის მოცემული შემაჯამებელი, ნარატიული ნაწილი, სადაც ტექსტობრივად იქნება შეჯამებული მატრიცებში მოცემული ინფორმაცია. წარმოდგენილი ცხრილები არ არის სრულყოფილი სახით წარმოდგენილი, სვეტები არ არის სრულად შევსებული, არ არისწარმოდგენილი ცხრილის წარმოდგენის საფუძველი და ანალიზი, ცხრილთა უმეტესობას არ გააჩნია „ლეგენდა“. ამასთან, ალტერნატივების შედარების ნაწილში არ არის წარმოდგენილი პრიორიტეტული ალტერნატივები და ალტერნატივების შერჩევის მიმოხილვა. ასევე, ინფორმაცია რომელიც მოცემულია სგშ ანგარიშის წარმოდგენილ ცხრილებში „ზემოქმედება - შემარბილებელი ღონისძიებები“ წარმოდგენილი უნდა იყოს ნარატიულ ნაწილში შესაბამისი სტრუქტურის დაცვით. | გათვალისწინებულია დაკორექტირებულია |
| სგშ-ის ანგარიშში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების და რისკების გაანალიზების შემდგომ, მოცემული უნდა იყოს თითოეული კომპონენტისათვის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ჩამონათვალი/გეგმა. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების დროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მონიტორინგის ღონისძიებების აღწერა.<br><br>სგშ-ის ანგარიშში არაა გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალში განაშენიანების სამომავლო ზრდასთან ერთად და ტურისტული ნაკადის მატებასთან ერთად მოსალოდნელი ნარჩენების წარმოქმნისა | გათვალსიწინებულია ყველა ზემოქმედებას თან ერთვის შემარბილებელ ღონისძიებები<br><br>გათვალისწინებულია იხ, ნარჩენების წარმოქმნით  გამოწვეული ზემოქმედება |

| | |
|---|---|
| და მართვის შესახებ ინფორმაცია. სგშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ნარჩენების საკითხს და ზემოქმედების ნაწილში შემარბილებელი ღონისძიებების ჩამონათვალს. სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას (მათ შორის მშენებლობის ეტაპზე) მოსალოდნელი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია. | |
| საჭიროა, დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იყოს ზედაპირული წყლების დაბინძურების წყაროების დადგენის, უნებართვო ჩაშვებების აღმოფხვრისა და მდინარის ჩამონატანისგან და ნარჩენებისგან გასუფთავების ღონისძიებების განხორციელების საკითხები. | გათვალსიწინებულია იხ. ზემოქმედება წყლის რესურსებზე, ნარჩენებით ზემოქმედება |
| სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, მოხდება წყლის რესურსებზე მოთხოვნის ზრდა და ამისათვის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის წყაროების გამოყენება კურორტის წყლით მომარაგებისათვის. ასევე, სგშ-ის ანგარიშის მიხედვით, „ჩატარებული ჰიდრავლიკური ანგარიშებიდან გამომდინარე კლასტერის სრული წყალმომარაგებისათვის საჭირო წყლის რაოდენობაა - 5000 მ3/დღე-ღამეში. რაც ნიშნავს იმას, რომ ამჟამად, კურორტის წყალმომარაგებისათვის მოპოვებული წყლის რესურსი (5280 მ3/დღე-ღამეში) სრულიად საკმარისია პერსპექტიული განვითარებისა და საკურორტო სეზონზე მაქსიმალური დატვირთვის გათვალისწინებით“. შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია, თუ რამდენად საკმარისია არსებული წყლის რესურსი კლასტერის განვითარებისთვის. | ტექსტში მითითებულია, რომ სასმელი წყალი საკმარისია კლასტერისათვის ინფორმაცია კურორტ ბეშუმის ადმინისტრაციის მიერაა მოწოდებული |
| წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია, თუ როგორ განხორციელდება წყლის მიწოდება სხვა ადგილებისთვის, განსაკუთრებით კი ახალი დასახლებებისთვის. ასევე, სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს ასახული, იგეგმება თუ არა, ახალი დასახლებების ტერიტორიებზე წყლის მოძიება და დამატებით, ახალი რეზერვუარების განთავსება. წყლის დაქსელვის დაგეგმვის/განხორციელების შემთხვევაში უნდა შეფასდეს ამ პროცესის ზემოქმედება გარემოზე. საჭიროა, სგშ-ის ანგარიშში შეფასდეს კლიმატის ცვლილების ფონზე წყლის რესურსის რაოდენობის ცვლილება. | ადმინიიტრაციის ინფორმაციის ეს მოხდება დაქსელვით |
| | გათვალსიწინებულია იხ. ღონისძიებათა გეგმა იხ. წყლის რესურსები და ჩამატებულია კვლევის აუცილებლობის შესახებ ღონისძიებათა გეგმაში |

| | |
|---|---|
| საინიციატივო ჯგუფი "გოდერძის მეგობრების" წერილის თანახმად, წყლის რესურსების ათვისების საკითხი აუცილებელია განხორციელდეს ადგილობრივების ჩართულობით, მათი გამოკითხვით და გათვალისწინებული რჩევებით, რადგან, წყალი საკვანძო მნიშვნელობის რესურსია და არსებობს, იმის რისკი, რომ ადგილობრივები დარჩნენ ამ რესურსის გარეშე. წერილის თანახმად, გენერალური გეგმის დამტკიცებამდე, აუცილებელია, შემუშავდეს დასკვნა, რომ რისკები გათვალისწინებულია და წყლის რესურსები შეფასებულია შესაბამისი სამეცნიერო კვლევების საფუძველზე. საჭიროა, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იყოს სგშ-ის ანგარიშში. | |
| წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე ფიქსირდება მიწისქვეშა წყლების გამოსავლები, რომლებსაც გააჩნია სანიტარული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონა, რომელიც უნდა გადიოდეს გამოსავლიდან არანაკლებ 15 მეტრში. სსიპ მინერალური რესურსების სააგენტოს ცნობით, „წყლის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის (სანიტარული დაცვის ზონები) მეოთხე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, პირველ სარტყელში (მკაცრი რეჟიმის ზონა) აკრძალულია „ნებისმიერი მშენებლობა, გარდა წყალსადენის ნაგებობებისა; ნებისმიერი დანიშნულების საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსება; ინერტული მასალის მოპოვება; მილსადენის გაყვანა (გარდა წყალსადენის ნაგებობების მომსახურებისათვის აუცილებელი); ჩამდინარე წყლების ჩაშვება, ბანაობა, პირუტყვის ძოვება და დარწყულება, რეცხვა, თევზჭერა, შხამქიმიკატების გამოყენება მცენარეთა დაცვის მიზნით". | სანიტარიული დაცვის პროექტში მოცემულია აკრძალული და დაშვებული საქმიანობების შესახებ |
| საინიციატივო ჯგუფი "გოდერძის მეგობრების" წერილის მიხედვით, მთის ახალი კურორტის შექმნისა და განვითარების პროცესში (რაც უკავშირდება სტიქიების მაპროვოცირებელი ძლიერი ანთროპოგენური ფაქტორების წარმოშობას და რისკის ქვეშ მყოფი ობიექტების ზრდას), მიზანშეწონილად მიჩნეულია, რომ წყლის სანიტარული ზონები დადგინდეს არა ზოგადი კრიტერიუმებით, არამედ, ადგილზე ჩატარებული კვლევების საფუძველზე. წერილის მიხედვით, საჭიროა, ღვარცოფული პროცესების მოდელირება და კურორტის განაშენიანების დაგეგმვა ისე, რომ შენარჩუნებული იყოს მდინარის გამტარობა წყალდიდობების გრძელვადიანი ციკლების გათვალისწინებით. გაცნობებთ, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იყოს სგშ-ის ანგარიშში. | სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრები ადგილზე ჩატარებული კვლევების მიხედვითაა შესრულებული. მაგრამ სამომავლოდ აუცილებელია მინერალური წყლების გამოსასვლელებთან და სამკურნალო ტალახთან ჩამოყალიბებული სფაგნუმაინი ტორფნარების კვლევა ჰიდროლოგია, გენეზისი. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელია მოხდეს მკაცრი დაცვის ზონების შესაბამისი კორექტირება უკვე არგუმენტირებული სამეცნიერო დასკვნების საფუძველზე. |
| სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით | ვადები თითოეული ღონისძიებების გასწვრივ მითითებულია ღონისძიებათა გეგმაში |

| | |
|---|---|
| გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების ვადების მითითებით, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში. | |
| სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი კონცეფციის თანახმად, რომ „შედგენილია ყველა უბნის მოკლე დახასიათება და განვითარების პერსპექტივა და ფორმები”. შესაბამისად, სკოპინგის დასკვნით განისაზღვრა აღნიშნულ უბანთა განვითარების პერსპექტივისა და ფორმების შესახებ ინფორმაციის სგშ-ის ანგარიშში ასახვის საჭიროება. გაცნობებთ, რომ სგშ-ის ანგარიში არ შეიცავს უბანთა განვითარების პერსპექტივისა და ფორმების შესახებ ინფორმაციას. | გათვალისწინებულია ჩამატებულია დოკუმენტის დასაწყისში |
| სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს კონცეფციის გამწვანების გეგმის რუკაზე აღნიშნული „ბუნებრივი ლანდშაფტის“ შესახებ ინფორმაცია (მახასიათებლები, შეზღუდვები, ნებადართული ღონისძიებების სახეები და სხვ.). | გათვალისწინებულია ჩამატებულია იხ. ბუნებრიც-ანთროპოგენური ლანდშფტის კომპლექსური ანალიზი და რუკა 33 გამწვანების რუკა |
| სკოპინგის დასკვნის მიხედვით, სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში უნდა ასახულიყო დამატებითი ინფორმაცია სკოპინგის განცხადებაში აღნიშნული “ტყეში მოსასვენებელი ადგილების” საკითხის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, სგშ-ის ანაგრიშში მოცემული ინფორმაცია ძალიან მწირია (მოცემულია მხოლოდ ლოკაცია: კურორტის ტერიტორია). | მოსასვენებლი ადგილების შექნის აუცილებლობის შესახებ ასევე შშმ პირებისათვის შესახებ მოცემულია ღონისძიებათა გეგმაში ეკოტურიზმი, რომელიც პროექტის განვითარებისას აჭარის სატყეო სააგენტოსთან, კურორტის ადმინისტრაციასთან და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპრტამენტთან ერთად განხორციელდება |
| სკოპინგის დასკვნის მიხედვით, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო რუკა, სადაც მწვანე ტერიტორიის ოთხივე ზონა (საზოგადოებრივი მწვანე ზონა (პარკები), ბულვარის ზონა (სასეირნო განიერი ქუჩა), სპორტული ზონა, მწვანე დასვენების ზონა) იქნებოდა გამოკვეთილი. აღნიშნული არ არის გათვალისწინებული. | გათვალისწინებულია ჩამატებულია იხ, ბუნებრიც-ანთროპოგენური ლანდშფტის კომპლექსური ანალიზი და რუკა 33 გამწვანების რუკა |
| | |

| | |
|---|---|
| სკოპინგის დასკვნის მიხედვით, სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ინფორმაცია ლანდშაფტის დაცვის კონცეფციით განსაზღვრული მწვანე ტერიტორიის ოთხივე ზონისთვის დადგენილი შეზღუდვების და ნებადართული საქმიანობების შესახებ. სგშ-ის ანგარიშში უნდა განსაზღვრულიყო აღნიშნული “მწვანე ტერიტორიების” წილი მთლიან გეგმარებით არეალზე. ასევე, სკოპინგის დასკვნის მიხედვით, სგშ-ის ანგარიშში უნდა ასახულიყო კონცეფციით წარმოდგენილი ზონების/ქვეზონების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, განაშენიანების პარამეტრები, სიმჭიდროვეები, შეზღუდვები, შენობებისთვის დასაშვები სიმაღლის ზღვრები. განხილული უნდა ყოფილიყო სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე თითოეული ზონისთვის ზოგადი, საერთო კონცეფციის (ერთიანი იერსახე) საკითხი და თითოეული ზონისთვის უნდა განსაზღვრულიყო არქიტექტურული კონცეფცია (მათ შორის შენობა-ნაგებობების სამშენებლო მასალები, ფორმები, ფერები, ზომები). გაცნობებთ, რომ საჭიროა, სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ არატექნიკურ ენაზე იყოს წარმოდგენილი სრულყოფილი ინფორმაცია. | გათვალსიწინებულია იხ. გამწვანება |
| სკოპინგის დასკვნის მიხედვით, უნდა ასახულიყო ინფორმაცია საკურორტო-სარეკრეაციო ქვეზონის (შზ-4) შემადგენელი ნაწილების - საკუთრივ „კურორტი ბეშუმის“ და საკურორტო სექტორების (A, B, C) განაშენიანების პარამეტრების, მათზე დაგეგმილი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების, ფუნქციისა და შეზღუდვების შესახებ. გაცნობებთ, რომ სტრატეგიულ დოკუმენტსა და სგშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია A, B და C საკურორტო სექტორების შესახებ. | თავდაპირველად კონცეფციაში უბნები წარმოდგენილი იყო ლათინური ციფრების შესაბამისად, ხოლო უკვე გენგეგმის დოკუმენტში როცა დაზუსტდა მათი საზღვრები და სხაელწოდებები, სგშ-იც წარმოდგენილია უბნების სახელწოდებების მიხედვით. |
| ტექნიკური ხარვეზები ტესტში | |
| სგშ-ის ანგარიშში “WWF” მოხსენიებულია არასწორად (მაგ., გვ. 3 და გვ 50). ორგანიზაციის სახელწოდება „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდია“. | რედაქტირებულია |
| სგშ-ის ანაგრიშში, გვერდზე 22 - შქერნალის უბნის დახასიათებაში, მითითებულია, | |

| | |
|---|---|
| რომ „შქერნალის უბანი კლასტერის ჩრდილოეთით მდებარეობს და ესაზღვრება | განმარტება დამატებულია სქოლიოში |
| [illegible]გშ-ის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელოთი” გათვალისწინებული | გათვალისწინებულია |